MES 8 20 00335709

10/04/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 01 აპრილს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
თაკო ჭაბუკიანი - დირექტორი
სოფიკო ჩიტიშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი

შპს ქართული ღვინის გილდია
მარიამ ხომასურიძე - სასწავლო პროცესების კოორდინატორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მანანა კობალაძე
მამუკა ხოშტარია
თეა მახათელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს9 წევრი (არ ესწრებოდა მეფარიშვილი და მებურიშვილი) და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე, რომელიც დაადასტურებს სხდომის ჩატარების ფაქტს და აიტვირთება ცენტრის ვებ-გვერდზე.

დღისწესრიგი:

1. ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა /00421/- განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;
2. ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - ხის დეკორატიული ნაწარმის შექმნა /00422/ - განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;

3.შპსქართული ღვინის გილდიისპროფესიულიგადამზადებისპროგრამა - ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია /00424/- განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;

4. შპსქართული ღვინის გილდიის პროფესიულიგადამზადებისპროგრამა - ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები /00425/- განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;

1. ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა /00421/ - განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ.

ნინო ბაბალაშვილმა წარმოადგინა ექსპერტთა ვიზიტის დასკვნა, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამის - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა, სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. მან ისაუბრა ვიზიტის შესახებ, რომელიც განხორციელდა ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, დარგის ექსპერტთან, მანანა კობალაძესთან და ცენტრის წარმომადგენელ ლონდა მინდიაშვილთან ერთად. იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზაცია პროგრამის განხორციელებას გეგმავდა ცხრა ლოკაციაზე, ყველა ლოკაციის ვიზიტი შეუძლებელი იყო. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით შერჩევით მოხდა ვიზიტის ადგილის შერჩევა, ახალციხეში. დანარჩენი ადგილების შესწავლა მოხდა გადმოგზავნილი დოკუმენტაციის მიხედვით. პრეზენტატორმა წარმოადგინა ის მიგნებები, რეკომენდაციები და ხარვეზი, რაც დარგის ექსპერტთან ერთად ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა. ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამისთვის, განსხავებით სხვა შემთხვევებისა, დაწესებულებას განსაზღვრული და წარმოდგენილი ჰქონდა განხორციელების ცხრა ადგილი, ანუ დაწესებულებას სურს უფლების მოპოვების შემთხვევაში ეს პროგრამა განახორციელოს ცხრა ლოკაციის ადგილზე, მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამა არის პროფესიული მომზადების და ცენტრის და დარგის ექსპერტთან შეთანხმებით და მასალების შესწავლით გადაწყდა, რომ ეს არის მეორე დონის პროგრამა. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განაცხადში და პროგრამაში დაწესებულებას მითითებული ჰქონდა- 10 და პროგრამის ხანგრძლივობა-13 კვირა, ლოკაცია -9. პირველი სტანდარტის მიხედვით, პროგრამულ ნაწილში არ დაფიქსირებულა ხარვეზი. არის დარგის ექსპერტის რიგი რეკომენდაციები. ხარვეზი დაფიქსირდა მეორე სტანდარტში, მატერიალურ-ადამიანურ რესურსში. კერძოდ, 2.1 ქვე-სტანდარტში, რომელიც ეხება ადამიანურ რესურსს. დაწესებულებას თითოეულ ლოკაციაზე წარმოდგენილი ჰყავდა ერთი განმახორციელებელი პირი, შესაბამისად ხელშეკრულებები დაკვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან სამუშაო გამოცდილების ცნობა. უმეტეს შემთხვევაში ორივე გადმოგზავნილი იყო, თუმცა გადმოგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორ ლოკაციაზე, კერძოდ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანის და ახალქალაქის ლოკაციაზეწარდგენილ განმახორციელებელ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ ცნობები, თუმცა ისინი არ შეესაბამებოდა სამკერვალო დარგის მიმართულებას. ამის შესახებ დამატებით მოხდა

გასაუბრება ორგანიზაციის წარმომადგენელთან და აღმოჩნდა, რომ ცნობები ატვირთული ჰქონდათელექტრონულად, მაგრამ ტექნიკური მიზეზის გამო არ ჩანდა ეს დოკუმენტაცია.
დანარჩენ შვიდ ლოკაციაზე ყველა განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია დადასტურებულია, კომპეტენცია და კვალიფიკაცია შესაბამისობაშია. ზოგადად, არ დაფიქსირებულა არცერთი ცალსახა დარღვევა. მესამე სტანდარტი სრულებით წესრიგში იყო და ყველა საკითხი, რაც შეიძლება დადასტურდეს, დადასტურებულია. რაც შეეხება დარგის ექსპერტის ზოგად რეკომენდაციებს, პირველი, ეს ეხება პროგრამას. ექსპერტის აზრით, სასურველია თემატიკაში დაკონკრეტდეს, მსმენელები იმუშავებენ მზა თარგზე თუ ნახევარ ფაბრიკატებზე. ასევე, სასურველია თემატიკაში გაიწეროს ტანსაცმლის დამუშავების ეტაპები. დარგის ექსპერტის მეორე რეკომენდაცია ეხება იმას, რომ ცალკე გაიწეროს და დამტკიცდეს მსმენელთა შეფასების წესი. რასაკვირველია, პროგრამაში შეფასების მეთოდები წარმოდგენილია და ადეკვატურია თემატიკის კვირის ჭრილში, თუმცა ექსპერტის აზრით, სასურველია ორგანიზაციამ ცალკე შეიმუშაოს შეფასების წესი. პრეზენტატორმა გაამახვილა ყურადღება მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრაზე. ორგანიზაციას წარმოდგენილ ფორმაში და პროგრამის განაცხადში მსმენელთა რაოდენობაში მითითებული ჰქონდა 10 მსმენელი, თუმცა 9 ლოკაციაზე ცალ-ცალკე ექვსიდან ათ მსმენელამდე. სულ მოთხოვნილი ჰქონდა 82 მსმენელი. რეკომენდაცია იყო, საჭირო მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრა, რაც მოხდა იმ უნიკალური საკერავი მანქანების რაოდენობით თითოეულ ლოკაციის ადგილზე, რაც აუცილებელია სწავლის იმ შედეგს მიაღწიოს მსმენელმა, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული. მას შემდეგ რაც დაითვალა უნიკალური საკერავი მანქანები (სხვა საკერავი მანქანებიც აქვთ ლოკაციის ადგილებზე, მაგრამ, როგორც ექსპერტი ამბობს, ამ უნიკალური სახეობის საკერავი მანქანით არის შესაძლებელი ყველა იმ ფუნქციის განხორციელება, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული). მოხდა შეჯამება და არსებული მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, გამოვიდა ასეთი სურათი, ახალციხეში-4, ამბროლაურში-2, სენაკში -2, წალენჯიხაში-10, ჩოხატაურში-6, ხარაგაულში -4, ლაგოდეხში-7, თეთრიწყარო-1 და ახალქალაქში-6.
პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ დაისვა კითხვები. საბჭოს წევრმა **ნინო ტალიაშვილმა** დას ვა შეკითხვა პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ორი განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია არ დადასტურდა, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია და ასევე დაინტერესდადაცული არის თუ არა უსაფრთხოების ნორმები. ამასთან დაკავშირებით **ნინო ბაბალაშვილმა** უპასუხა, რომ ადგილზე ვერ იქნა იმ ორი განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია წარმოდგენილი, რადგან ვიზიტი იყო ახალციხეში და იქ ვერ ნახავდნენ იმ განმახორციელებლების დოკუმენტაციას. მაგრამ ესაუბრენ ორგანიზაციის წარმომადგენლებს და ისინი შეპირდნენ, რომ ატვირთავდნენ ელექტრონულადაც და საბჭოს სხდომაზეც წარმოადგენდნენ. იურიდიულმა პირმა ატვირთა tvet.emis.ge-ზე შესაბაამისი დოკუმენტაცია, თუმცა ექსპერტებმა ელ.სისტემაში ხარვეზის გამო, ვერ შეძლეს ამ დოკუმენტაციის ნახვა, სწორედ ამიტომ დაფიქირდა ხარვეზი. იურიდიულ პირთან კომუნიკაციით გაირკვა, რომ საბჭოს სხდომაზე წარმოადგენდა განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რითაც დადასტურდება განმახორციელებლების შესაბამისი კვალიფიკაცია. რაც შეეხება უსაფრთხოების ნორმებს, ორგანიზაციას სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში წარმოდგენილი აქვს 2019 წლის 26 დეკემბრის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი, სადაც პროგრამის განხორციელების ცხრავე ლოკაციის მიხედვით გაწერილია შესასრულებელი რეკომენდაციები. დაწესებულების წარმომადგენელი ისაუბრებს, რეკომენდაციების შესარულების შესახებ.**ნინო ტალიაშვილის** შემდეგი კითხვა ეხებოდა მსმენელის შერჩევის საკითხს. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად გამჭვირვალე იქნება შერჩევა და იურიდიულ პირს აქვს თუ არა გაწერილი მსმენელის შერჩევის კრიტერიუმები.

ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ მსმენელთა შერჩევა განხორციელდება პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლია N71/ნ ბრძანების საფუძველზე, რაც დასკვნაში არის ასახული. საბჭოს წევრმა, **გიორგი საყვარელიძემ** აღნიშნა, რომ ცოტა დამაბნეველია მსმენელთა რაოდენობა, გასაგებია, არის 9 ლოკაციაა და განსაზღვრული იყო თითო ლოკაციაზე 10 მსმენელი, შემდეგ მოხდა დიფერენცირება.რას ეფუძვნება ის, რომ სხვადასხვა ლოკაციაზე მოხდება მსმენელების გაბნევა, საინტერესოა როგორ შეძლებენ ხარისხის უზრუნველყოფას. შეიძლება საკერავი მანქანები იყოს, პროგრამის განმხორციელებელი პირიცჰყავდეთ ადგილზე, მაგრამ ვერ გაკონტროლდეს. რა არის კონტროლის მექანიზმი? **ნინო ბაბალაშვილის** აზრით, ორგანიზაციას, ამ ქსელს გააჩნია ადმინისტრირების და მართვის გამოცდილება, რის შესახებაც ორგანიზაციის წარმომადგენელი ისაუბრებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქამდეც უამრავ მოკლევადიან პროგრამებს ახორციელებდნენ, როგორ მოხდება ამის გაკონტროლება, ამაზე იურიდიული პირის წარმომადგენლები უპასუხებენ. საბჭოს წევრი, **თორნიკე ჯობავაც** და ინტერესედა თუ როგორ მოხდებოდა ლოკაციის კონტროლი დარამ განაპირობა ამდენი ლოკაცია და მსმენელთა დიფერენციაცია სხვადასხვა ადგილზე. როგორც **ნინო ბაბალაშვილმა** ა ღნიშნა, მსმენელთა რაოდენობები განისაზღვრა ადგილზე, უნივერსალური საკერავი მანქანების რაოდენობების მიხედვით.

საბჭოს წევრებმა მოუსმინეს **თამარ ჭაბუკიანს**, დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც შეაჯამა და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მან ისაუბრა, რომ ზოგადად ისინი აერთიანებენ ზრდასრულთა ცენტრებს, რომლებიც განლაგებულია სხვადასხვა რეგიონებში. ამ შემთხვევაში პროგრამა განხორციელდება ქსელის ცენტრებში, რომლებიც დიდი ხანია ფუნქციონირებენ. რაც შეეხება ადმინისტრაციას და მართვას, ზოგადად გაწერილი აქვთ შიდა მართვის სქემა. ლოკაციებიც შეირჩა ცენტრების ლოკაციების შესაბამისად და ამ კუთხით არის განსაზღვრული მათი მართვა. ესაა ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები, ბენეფიციარების მოზიდვა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება. ქსელის მხრიდან ჩართულები არიან ადმინისტრირებაში. ცალკეა განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, როგორ უნდა მოხდეს ხარისხის კონტროლი და შერჩევის პროცედურები. აქვთ შიდა მართვის დოკუმენტი.მსმენელთა რაოდენობასთან დაკავშირებით, მათი 11 ცენტრიდან 9 ცენტრშია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელება, ერთიანი სტანდარტი არსებობს, რათა ერთნაირად განხორციელდეს ყველა ლოკაციაზე. გარდა ამისა ცენტრები აღჭურვილები არიან სხვადასხვანაირად და ამ შემთხვევაში მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდა რამდენი და რა ტიპის მატერიალური რესურსია ადგილზე. იყო წარმოდგენილი 10 მსმენელი, განსხვავებულად იყო დათვლილი, მაგრამ ვითვალისწინებთ რეკომენდაციებს და რაოდენობები შეიცვლება შესაბამისად. მოხდება ცვლებად აქტივობების განხორციელება. რაც შეეხება კითხვას უსაფრთხოების შესახებ, იყო რეკომენდაციები - რა და როგორ უნდა განხორციელდეს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები. იდეაში უკვე დაწყებული უნდა იყოს ეს პროცედურები, თუმცა გარკვეული პრობლემებია შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე არის გაწერილი დოკუმენტი. ლოკაციის ადგილებიდან გადამზადებული იქნება თანამშრომლები. ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებულია ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელიც მოახდენს გადამზადების კურსს, რომელიც მოიცავს სახანძრო უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების და პირველადი დახმარების საკითხებს. რაც შეეხება ვადებს, განსაზღვრულია მაისის თვე და ამასთან, საჭირო ინვენტარით აღჭურვისათვის მოძიებულია კომპანიები და დათვლილია რა და როგორ განლაგდეს ინვენტარი, დათვლილია ფასები და აუცილებლად გაკეთდება. შესყიდვა გაჩერებულია, რადგან ვერ მოხდება მისი კონკრეტულ ადგილზე ტრანსპორტირება, თუმცა პროგრამის განხორციელებამდე აუცილებლად მოხდება. ბიუჯეტსა და გეგმაში გაწერილია და პროგრამის განხორციელებამდე ეს საკითხი მოგვარებული იქნება.რაც შეეხება დოკუმენტს, რომელიც აიტვირთა ელექტრონულ სისტემაში და არ ჩანდა, შეგვიძლია ეს ცნობები დღესვე წარმოვადგინოთ. საბჭოს წევრი, **თორნიკე ჯობავა** დაინტერესდა თუ როგორ აქვს ცენტრს

წარმოდგენილი ეს პროცესი დარამდენად მომგებიანია ბიზნესის თვალსაზრისით ერთ ან ორ მსმენელს ჩაუტარდეს ტრეინინგი, მოთხოვნა არ არის შესაბამისი, თუ რა არის მიზეზი? ამ კითხვაზე **თამარ ჭამუკიანმა** უპასუხა, რომ ბიზნესის თვალსაზრისით ნაკლებად არიან დაინტერესებული. ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას და მათი ცენტრები ახორციელებენ პროგრამებს, რომლებიც დაარსებულია გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ. ამ პროგრამების განხორციელება ხდება დონორ ორგანიზაციასთანთანამშრომლობით და ამ შემთხვევაში კომერციული ინტერესი ნაკლებად არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება რაოდენობას, განსაზღვრულია იმ ადგილზე არსებული ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისად. მთავარი ინტერესი, მიზნები არის სწავლება, სწავლის პროცესი, ადგილზე წახალისება, თემის განვითარება, მათ შორის ეკონომიკური კუთხით. შინაარსიდან გამომდინარე ქსელს არ აქვს კომერციული ინტერესი. საბჭოს წევრი, **მარიკა ზაქარეიშვილის** კითხვა მდგომარეობდაშემდეგში, გადამზადებული ადამიანი რამდენად შეიძლება დასაქმდეს ან თვითდასაქმდეს? დასაქმების შემთხვევაში, სამკერვალოში, ან თვითდასაქმდეს. ხომ არ გიფიქრიათ არსებულ შესაძლებლობაზე ბიზნესის დაწყების კუთხით. მაგალითად, შეიძინოს საკერავი მანქანა და თავისი ნასწავლით მოემსახუროს თემს, შეუკეროს, გაყიდოს. **თამარ ჭაბუკიანმა** ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ კურსის განხორციელების განაცხადში დასაბუთების ნაწილში აღწერილი აქვთ კურსის ფარგლებში რამდენი დასაქმებული/თვითდასაქმებული ეყოლებოდათ. შეირჩა ისეთი თემები, რაც გარკვეული წინაპირობა იქნებოდა თემების განვითარების. პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მიეცემათ დასაქმების/თვითდასაქმების საშუალება. ცენტრის ერთ-ერთი მიზანიც არის თემის ეკონომიურად გაძლიერება და ასეთი აქტივობის განხორციოელება.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია ის, რომ მსმენელთა რაოდენობა საკერავი მანქანის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. რომ ერთი საკერავი მანქანა ემსახურება ერთ მსმენელს და არა ჯგუფს, მაგრამ რამდენად აქვს აზრი ერთ ლოკაციაზე ერთი მსმენელის ყოფნას, რას ეყრდნობა ეს პრინციპი? ხომ არ გიფიქრიათ ლოკაციის ამოღებაზე? რადგან გასათვალისწინებელია დაფინანსება, განმახორციელებელი პირის ხელფასი, მაგრამ თუ თქვენ ამას განახორციელებთ დაფინანსების გარეშე, ეგ სხვა საქმეა. **თამარ ჭაბუკიანის** პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო, რომ მათი ქსელის მიზნებიდან გამომდინარე, ეს არ არის გათვლილი კომერციული თვალსაზრისით, ქსელს აქვს განსხვავებული ამოცანები, კერძოდ, ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს თემის განვითარებას, მათ შორის ეკონომიური თვალსაზრისით, ისინი აბსოლუტურად ღია არიან ამ კუთხით. მზად არის ცვლილებები შეიტანონ ექსპერტის რეკომენდაციის მიხედვით. საბჭოს წევრი, **გიორგი ვეკუა** დაინტერესდა ადამიანურ რესურსებთან და ასევე მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ იმ რეგიონებში სადაც ნახსენებია, არის საჯარო თუ კერძო პროფესიული სასწავლებლები, სადაც ამ პროგრამას ახორციელებენ, გრძელვადიანს უფრო, რათქმა უნდა. რადგან, არ ხართ ბიზნესზე ორიენტირებული, ხომ არ გიფიქრიათ გეთანამშრომლათ მსგავს დაწესებულებებთან, რომელთაც მსგავსი რესურსი აქვთ. გეფიქრათ მათ ჩართულობაზე, რომ გამოიყენოთ სახელმწიფო რესურსი, რომელთაც შეუძლიათ კარგი განათლება მისცეს თქვენს მსმენელებს. **თამარ ჭაბუკიანის** პასუხი ამ კითხვასთან დაკავშირებით იყო ის, რომ ცენტრი ზოგადად მხარს უჭერდა ყველა ტიპის თანამშრომლობას, რაც დადებით შედეგს აძლევთ. რაც შეეხება განმახორციელებელ პირთა რაოდენობას, ლიმიტირებულია მათი რაოდენობა რეგიონებში, აქვთ ლოკაციები, სადაც მასწავლებელი, მაგალითად ახალციხის შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესებულებაშიც არის ჩართული. მთავარია, ცენტრის კონცეფცია იყოს დაცული, თან გასათვალისწინებელია, რომ ეს არის ხანმოკლე პროგრამები, თუმცა ისიც მნიშვნელოვანია, რომ მსმენელები არა მარტო დასაქმდნენ, ან თვითდასაქმდნენ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, არამედ სწავლა განაგრძონ სახელმწიფო დაწესებულებებში, სამომავლო განათლების კუთხით. **გიორგი გამყრელიძის** თქმით, პროგრამის არსი გასაგებია, მხოლოდ ბუნდოვანია ლოკაციების გადანაწილება და რაოდენობა. როგორც **მარიკა ზაქარეიშვილმა** აღნიშნა, ცენტრის ლოკაციები არ ეუცნაურება, ნამყოფია მათ ცენტრებში, ამ ცენტრს ბევრი ლოკაცია აქვს ცენტრის

ფუნქციიდან გამომდინარე. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს ეხმარებიან რეგიონებში. კითხვაა სადაც ერთი ადამიანია იმ ადგილზე, თორემ 10 იქნება თუ 12 ეს არ არის პრობლემა. **გი ორგი გამყრელიძის** თქმით,რაოდენობა საფიქრალია ლოკაციაზე, არ არის დაცული პარიტეტი. განსხავებულია ლოკაციებზე რაოდენობები, თუ განსაზღვრავს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - ეს ერთი საკითხია, მაგრამ მეორეა, თანაზომიერება არ არის და რამდენად ეფექტიანი იქნება? **თა მარ ჭაბუკიანმა** დაადასტურა, რომრაოდენობა განისაზღვრა, იმის მიხედვით, რა ტიპის აღჭურვილობა ჰქონდათ. **ნანი დალაქიშვილმა** აღნიშნა, რომრამდენიმეჯერ გამეორდა კითხვა სხვადასხვა ლოკაციაზე რაოდენობასთან დაკავშირებით. იქნებ დარგის ექსპერტს განემარტა მხოლოდ უნივერსალური საკერავი მანქანების მიხედვით მოხდა მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრა, თუ ექსპერტი კიდევ სხვა პარამეტრს ეყრდნობოდა. თავიდან 10-10 მსმენელის მიღების მოლოდინი იყო. **მანანა კობალაძის პასუხი** ამასთან დაკავშირებით ასეთი იყო, რომ, მსმენელების რაოდენობა განისაზღვრა სწორედ იმ უნიკალური მანქანების რაოდენობით, რაც წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრს. ახალციხეში დაგვხვდა 4 საკერავი მანქანა, რომელზედაც 10 მსმენელი ვერ ისწავლის ტანსაცმლის კერვას. რეკომენდაცია იყო მსმენელების რაოდენობა საკერავი მანქანების მიხედვით განსსაზღვრულიყო. 1 საკერავი მანქანა 1 მსმენელისთვის. **ექსპე რტმა** გამოთქვა აზრი, რომ დღის განმავლობაში შეიძლება იყოს რამდენიმე ჯგუფი, პოტენციურად შესაძლებელია ცვლებში იმუშაონ მსმენელებთან. **ლონდა მინდიაშვილმა** აღნიშნ ა, რომ ის დარგის ექსპერტთან ერთად იყო ვიზიტზე. როგორც გასაურებაზე უთხრეს, ცვლების მიხედვით არ აპირებენ სწავლებას. ახალციხეში საღამოს საათებზე ქონდათ გათვლა, რადგან საღამო საათები მსმენელებისთვის უფრო ხელმისაწვდომია. იქ არ იყო საუბარი, რომ გეგმავენ ცვლილებას. **თორნიკე ჯობავას** აზრით თუ ბიზნესიდან გამომდინარე არ არის პრობლება, რატომ უნდა შეიზღუდოს. თუ სილაბუსს ვუდასტურებთ, რომ ეკუთვნის ხარისხი, შეიძლება ერთ მსმენელს ჩაუტარონ და თუ უნდათათ მსმენელს. მისი აზრით არ უნდა მოხდეს შეზღუდვა. შეიძლება მსმენელთა რაოდენობის მაქსიმუმი ლიმიტი დაწესდეს. **ლანა გაჩეჩილაძემ** გამოთქვა ვარაუდი,რომთუ დაწესებულება თვლის რომ ეს ლოკაცია აუცილებელია, შეუძლიამანქანები გადაანაწილოს სხვა ლოკაციიდან, მობილიზაცია გააკეთოს რეგიონებიდან.

საბჭოს სხდომის პერიოდში, მეილზე მიღებული იქნა დოკუმენტები, რომლებიც ვიზიტის დროს ელექტრონულად არ გამოჩნდა, ამ ცნობებით დგინდება განმახორციელებლების კვალიფიკაცია და დადასტურებული იქნა.

თამარ ჭაბუკიანის აზრით**,** მსმენელების რაოდენობასთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტის რეკომენდაციების მიხედვით, ნაკადების/ცვლების მიხედვით შეიძლება განხორციელებულიყო მეცადინეობები.
შეთანხმებულ იქნა საბოლოო მსმენელთა ზღვრული რაოდენობები ლოკაციების მიხედვით, კერძოდ:
ახალციხე - 4; ახალქალაქი - 6; ამბროლაური - 4 (2 ცვლა); სენაკი - 4 (2 ცვლა); წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჯვარი -10; ჩოხატაური -6; ხარაგაული - 4; ახალქალაქი -6; ლაგოდეხი - 7; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი კოდა - 3 (3 ცვლა)

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ეთანხმებიან იმ წარმოდგენილ გათვლას, რაც დარგის ექსპერტს ჰქონდა წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, დაამატა რომ საბჭომ გაითვალისწინა ორგანიზაციის მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ხარვეზის გამოსასწორებელი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტების და საბჭოს წევრების მიერ მისაღებად ჩაითვალა, ასევე, საბჭო ითვალისწინებს ორგანიზაციის დიდ გამოცდილებას, ზეპირი მოსმენისას წარმოდგენილ არგუმენტებს. საბჭოს

თავმჯდომარემკენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა /00421/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამისგანხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (ს/კ: 401995631) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა /00421/ **დანართი 1 - ით განსაზღვრული პარამეტრებით.**

2. ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - ხის დეკორატიული ნაწარმის შექმნა /00422/ - განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;

ექსპერტთა დასკვნის თაობაზე პრეზენტაცია წარმოადგინა ნინო ბაბალაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ეს იყო ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მეორე პროგრამა, მომზადების პროგრამა, მესამე დონე, კვირეების რაოდენობა - 12, სამი განსახორციელებელი ადგილი, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-10. ნინო ბაბალაშვილმა ისაუბრა ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე. მან აღნიშნა, რომ პირველ, პროგრამულ ნაწილში დაფიქსირდა ორი ხარვეზი. კერძოდ,1.4. ქვესტანდარტში, რომელიც ეხებოდა პროგრამაში დაშვების წინ პირობებს. პროგრამაში გაწერილია შემდეგი დაშვების წინაპირობები- ასაკი: 18 წელი, განათლება: საბაზო.დარგის ექსპერტის მოსაზრებით, 2013 წლიდან ხის დამუშავება მიკუთვნებულია მომეტებული საფრთხის შემცველ ინდუსტრიას. შესაბამისად, ხის დასამუშავებელი ჩარხების ოპერირებისას საჭიროა ჩარხთან იმყოფებოდეს პირი, რომელიც არის ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი. მნიშვნელოვანია, პროგრამაზე მხოლოდ ის პირები იქნან დაშვებული, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სამედიცინო შემოწმება. როგორც დარგის ექსპერტი თვლის, გარდა ასაკისა და განათლებისა, მნიშვნელოვანია პროგრამის დაშვების წინაპირობა იყოს ფორმა 100, რაც დაადასტურებს მსმენელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. მეორე ხარვეზი, 1.9 სტანდარტში - პროგრამა არ ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას. იქიდან გამომდინარე, რომ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გამოყოფილი გარემო სამივე ლოკაციაზე, არის ჩვეულებრივი კაბინეტი, რაც არ შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სახელოსნოს. მან აღნიშნა, რომ ამ სამი ლოკაციიდან, ერთ-ერთში განხორციელდა

ვიზიტი საბა ელაშვილთან და დარგის სპეციალისტთან ერთად სენაკში და კაბინეტი, თავისი აღჭურვილობით და განლაგებით არ შეესაბამებოდა სახელოსნოს. ეს დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით სენაკში. შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით და იმ მატერიალური რესურსების ჩამონათვალით რითაც დანარჩენი ლოკაციები იყო წარმოდგენილი და როგორც თქვეს, ზუსტად მსგავსი კაბინეტები აქვთ მოწყობილი დანარჩენ ლოკაციებზეც, ექსპერტმა ჩათვალა, რომ სამივე ლოკაციაზე დარღვეული იყო ეს ქვესტანდარტი. რაც შეეხება მეორე სტანდარტს, მატერიალური რესურსების შესახებ - პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მინიმალური მატერიალური რესურსი არსებობს (ოთხი ჩარხი და 2 ხელის ელექტრო ინსტრუმენტი), მაგრამ მისი გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ასპირაციის სისტემა და სხვა დამატებით ჩარხები და ინსტრუმენტები. დანარჩენი 2 ლოკაციის მატერიალური რესურსის შესწავლა მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, საიდანაც გამოიკვეთა ასევე დამატებითი ჩარხებისა და ინსტრუმენტების ქონის აუცილებლობა. დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს არც სხვა პარტნიორი ორგანიზაცია, რომელთან თანამშრომლობითაც შესაძლებელი იქნებოდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია სახელოსნოს ჰქონდეს მეორე სათადარიგო გასასვლელი კარიც, რაც აუცილებელია ასეთი დანადგარებით აღჭურვილი ოთახისთვის. იგივე რეკომენდაცია დაფიქსირებულია სამივე განხორციელების ლოკაციაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაშიც, რაც პროგრამის ვიზიტის დროს არ იყო გამოსწორებული. 2.4. სტანდარტი, უსაფრთხოების სტანდარტში სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში წარმოდგენილია 2019 წლის 26 დეკემბერის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი, სადაც ყველა ლოკაციის მიხედვით გაწერილია შესასრულებელი რეკომენდაციები. ვიზიტის პერიოდისათვის არც ერთი მათგანი განხორციელებული არ იყო. როგორც დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით დაზუსტდა ამ დროისთვის პროგრამის განხორციელების დანარჩენ ორ ლოკაციაზეც არ დაწყებულა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი რეკომენდაციების გამოსწორებისთვის საჭირო სამუშაოები. აგრეთვე ორგანიზაციას განაცხადით მსმენელთა საერთო რაოდენობად მოთხოვნილი აქვს ათი მსმენელი. მნიშვნელოვანია თითოეული ლოკაციისთვის ცალკ-ცალკე განისაზღვროს მსმენელთა რაოდენობა, მატერიალური რესურსის გათვალისწინებით. ეს იყო ძირითადი დარღვევები, მათ შორის ზოგადიც, რაც შეჯამებულია დასკვნაშიც. **მამუკა ხოშტარიამ**, დარგის ექსპერტმა განავრცო და ისაუბრა პროგრამის დეტალებზე. მან აღნიშნა, რომ ნამდვილად არ ელოდებოდა ისეთ გარემოს სენაკში ვიზიტის დროს, რა სურათიც დახვდა. მას არავითარი საერთო არ ქონდა სადურგლო სახელოსნოსთან. რეალურად ის წარმოადგენდა ჩვეულებრივ კაბინეტს, სადაც დალაგებული იყო რაღაც ჩარხები. მისთვის, როგორც დარგის ექსპერტისთვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოში პროგრამის მომზადების მსურველი ადამიანები აპირებდნენ ადამიანების გადამზადებას ამ სფეროში. ამიტომ განწყობა იყო ისეთი, რომ ყოველნაირი რეკომენდაცია მიეცა იმისათვის, რომ ხარვეზები, რომელიც აღმოჩნდა გამოსწორებულიყო რაც შეიძლებოდა მცირე დროის განმავლობაში. მაგრამ ის მითითებები, თუნდაც სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვასთან დაკავშირებით, მეორე სათადარიგო კართან დაკავშირებით, აღმოფხვრილი არ არის. ამ სიტუაციაში/გარემოში შეუძლებელია ჩატარდეს ისეთი სასწავლო პროცესი, რომლითაც აუცილებელ უნარ-ჩვევებს, ცოდნას, გამოცდილებას მიიღებს მსმენელი, რომ შეძლოს მუშაობა სადმე საწარმოში ანდამოუკიდებლად დასაქმდეს. ეს რაც შეეხება მატერიალურ რესურს, რაც იყო სენაკში. არის რამდენიმე შენიშვნა პროგრამასთან დაკავშირებით. პერიოდი, რაც არის გამოყოფილი - 108 საათი, ცოტაა. ექსპერტის დამოკიდებულება ზოგადად ხის დამუშავებასთან დაკავშირებით უფრო მაღალ თამასას ითვალისწინებს. ეს გარემო და პროგრამა ვერ მიცემს მსმენელს იმ უნარ-ჩვევებს, რომ საკუთარი გარემო იპოვოს. რეკომენდაციების და ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში შეიძლება მომავალში ვიმსჯელოთ ექნება თუ არა მომზადების პროგრამას განხორციელების უფლება. ეს რაც შეეხება სენაკს, მაგრამ ძნელია თქმა ამბროლაურში ან ახალციხეში რა ხდება. ექსპერტმა

აუცილებლად უნდა ნახოს. ეს არ არის კერვის სპეციალობა, სადაც საკერავი მანქანებიუნდა იყოს მხოლოდ. აქ სხვადასხვა ტიპის ჩარხებთან არის საქმე. გამკაცრებულია უსაფრთხოების მოთხოვნებიც, სახელოსნოს ადამიანებისათვის საჭიროა განკუთვნილი ტანსაცმელი, აღჭურვილობა, სპეციალური ყურსასმენები, ასპირაციის რესპირატორები და სხვა. ეს არის ხედვა მხოლოდ სენაკის ცენტრთან დაკავშირებით, სადაც ვიზიტი განხორციელდა.

ნინო ტალიაშვილს აინტერესებდა, რას ფიქრობდა ექსპერტი, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითყველაფერი გასაგებია, მიეცა ვადა გამოსასწორებლად. შესაძლებელია თუ არა ამ ვადაში ხარვეზების გამოსწორება და აგრეთვე პროგრამულ ნაწილს რაც შეეხება, საჭიროებს ცვლილებას საათებთან დაკავშირებით. რამდენად არის თანხვედრაში ეს ყველაფერი, არსებითად უნდა შეიცვალოს პროგრამა? **მამუკა ხოშტარიამ** აღნიშნა, რომ მას აქვს რამდენიმე მსგავსო პროგამის გამოცდილება. ერთ-ერთი იყო UNDP-ის ხელმძღვანელობით სადურგლო სახელოსნო, რომელიც გაკეთდა ზუგდიდში. ასეთ სახელოსნოში აუცილებელია მინიმალური ცოდნა რაც შეიძლება მსმენელმა მიიღოს, მნიშვნელოვანია უსაფრთხოებაც, ჩარხთან მუშაობაც და მეტი დრო მასალებთან მუშაობასაც. ექსპერტი თვლის, რომ 108 საათი ცოტაა. მართალია ეს არის მომზადების პროგრამა, მაგრამ თვლის, რომ ზოგადად ამ დარგისთვის საათების რაოდენობა ცოტაა. **საბჭოს წევრი, ნინო ტალიაშვილის** კითხვა იყო - პროგრამა რეალურად არ არის რელევანტური და მიღწევადი? **დარგის ექსპერტის** აზრით არ არის სახელოსნო, არ არის გარემო, არ არის მზად ეს პროგრამა. **საბჭოს წევრმა, ნათია კვიციანმა** აღნიშნა, რომგასაგებია**,** არ არის ეს პროგრამა განხორციელებისთვის მზად - ხომ არ იქნებოდა უპრიანი მიზნობრივად გაეკეთებინათ პროგრამები, უამრავი დანადგარია ნაყიდი. რესურსების აკუმულირება რომ მოხდეს და თუნდაც ერთი ცენტრი შეიქმნას.ნათია კვიციანმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ამ ქსელს აფინანსებს გერმანული დონორი, ხომ არ აჯობებდა მეტი ექსპერტები ჩაერთო ამ სფეროში მიზნობრივად რომ შექმნილიყო კარგი პროგრამა და განხორციელებულიყო არა სამ, არამედ ერთ ან ორ ცენტრში.

როგორც **ორგანიზაციის წარმომადგენელმა** განაცხადა, შეფასების პროცესში ჰქონდა ხანგრძლივი საუბრები ექსპერტთან, იყო ბევრი არგუმენტი, რაც ეხებოდა უსაფრთხოებას, პროგრამის შინაარსსაც. ამ რეკომენდაციების მიღების შემდეგ ვიმსჯელეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპისათვის არ იქნება მიზანშეწონილი ამ პროგრამის განხორციელება. **ნანი დალაქიშვილმა** იკითხა, ცენტრი წარმოების შეწყვეტას ითხოვდა თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხარვეზის გამოსწორების ერთთვიანი ვადაც რომ მიეცეთ, ვერ მოხერხდება ამ ტიპის რეკომენდაციების შესრულება. **დარგის ექსპერტმა** იმედი გამოთქვა, რომ მომავალში დაწესებულება გამოასწორებდა ხარვეზებს, დონორიც გამოყოფს სახსრებს და ეს პროგრამა აუცილებლად განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგკენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პროფესიული მომზადების პროგრამა - ხის დეკორატიული ნაწარმის შექმნა /00422/ - განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და

პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს(ს/კ: 401995631) უარი ეთქვას პროფესიული მომზადების პროგრამის „ხის დეკორატიული ნაწარმის შექმნა“ განხორციელების უფლების მინიჭებაზე.

3.შპს ქართული ღვინის გილდიისპროფესიული გადამზადების პროგრამა - ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია /00424/- განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ;

4. შპს ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები /00425/-განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ.

ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტთა დასკვნა წარმოადგინა **ნინო ბაბალაშვილმა.**
მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა ერთ პრეზენტაციაშია გაერთიანებული და სიამოვნებით აღნიშნა, რომ ხარვეზები არ დაფიქსირებულა. პროგრამების შესახებ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, **თეა მახათელაშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ქართული ღვინის გილდია არის იურიდიული პირი, შპს და მსგავსი სერვისების მიწოდებას დიდი ხანია აწარმოებს და წარმატებითაც. მათ აქვთ წარმოადგენილი ორი პროგრამა: 1) ,,ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია“ და 2) ,,ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები“. ორივე არის გადამზადების პროგრამა. მათ ჰყავთ პარტნიორი ორგანიზაციები, სადაც განხორციელდა ვიზიტები 13,14, და 15 თებერვალს. როგორც აღინიშნა ხარვეზები არ დაფიქსირებულა, საკმაოდ გამართული ბაზაა, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა არის მინიმუმ 7 და მაქსიმუმ 21. განხორციელების ადგილი თითოეულ პროგრამას აქვს სამი. ორივე პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმებას და პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. ორივე პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ორივე პროგრამის ფარგლებში ყავთ 3 პარტნიორი ორგანიზაცია: შპს ,,შატო ზეგანი“, შპს ,,კახური ღვინოები“ და შპს ,,ჯეოვაინ ტრეიდინგის“ სადეგუსტაციო მაღაზია ,,რეზერვი“, სადაც მსმენელებისათვის მოხდება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. იყო რეკომენდაცია - სასურველია ჩაუტარდეთ პროგრამის განმახორციელებელ პირებს ტრეინინგი სწავლების და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, **მარიამ ქუჩულორიამ** აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს წაკითხული აქვთ ეს დასკვნები, ჩანს, რომ ხარვეზები არ არის დაფიქსირებული. ერთადერთი, დარგის ექსპერტის პასუხი აინტერესებს, რეკომენდაციის შესახებ რაც აქვთ დაფიქსირებული, ტრეინინგებთან დაკავშირებით. **დარგის ექსპერტმა** აღნიშნა, რომსაკმაო კომპეტენციის ადამიანები არიან პროგრამაში ჩართულები.ისინი არიან ლექტორები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების, მაგრამ პროფესიულ განათლებას მაინც თავისი სპეციფიკა აქვს და ჩავთვალეთ, რომ ამ კუთხით, სწავლების პროცესში ჩართულმა ჯგუფმა რომ მიიღოს დამატებითი წვრთნა, სასურველი იქნებოდა.

ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა კონკრეტულად რას გულისხმობდა ექსპერტი სწავლების პროცესში წვრთნას, სწავლების მეთოდებში? რაზედაც **დარგის ექსპერტმა** უპასუხა, რომდიახ, აქ იყო სწავლებისა და შეფასების მეთოდებში, უშუალოდ პროფესიულ განათლების სპეციფიკაში. შემდეგ დარგის ექსპერტმა ბაზების ფოტოებზე გაამახვილა ყურადღება: შატო ზეგაანი, უძველესი მარანი, რომელიც აღდგენილია და კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. ასევე მაღაზია-რეზერვი, რომელიც თბილისში მდებარეობს და ყოველნაირად მომზადებულია თავისი აღჭურვილობით რომ განხორციელდეს ეს გადამზადების პროგრამები. **ნანი დალაქიშვილის** შეკითხვა დარგის ექსპერტთან:აქ აღნიშნა, რომ განხორციელების სამი ადგილი აქვს თითოეულ პროგრამას, თუმცა თქვენს დასკვნაში მხოლოდ თითო ადგილია მითითებული. ხომ არ დააზუსტებდით ამ პროგრამების სწავლის შედეგები არის გაყოფილი და სამ სხვადასხვა ადგილებზე ხდება მათი მიღწევა თუ სხვა ტიპის განრიგი შემოგთავაზათ დაწესებულებამ? **დარ გის ექსპერტმა** უპასუხა, რომ აქ არის სწავლება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკაზე დაფუძნებული. ინფორმაციის მიწოდება, თეორიული სწავლება ხორციელდება აღმაშენებლის 15-ში. სასწავლო-საოფისე გარემოში, რომელიც აღჭურვილია და აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, მათ შორის უსაფრთხოებისნორმებს. ხოლო პრაქტიკაზე დაყრდნობით სწავლება ხორციელდება გურჯაანის რაიონის სოფელ ზედაანში, ღვინის ძველ მარანში. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხომასურიძემ დააზუსტა პასუხი- მსმენელი გურჯაანში ატარებს ხუთ დღეს, 30 საათს და შატო ზეგაანში დღეში 6 საათს, ხუთ დღეს. მან აღნიშნა, რომ დეგუსტაციის ფუნქცია არის რამოდენიმე. ერთია საწარმოო დეგუსტაცია. საწარმოო დეგუსტაციის ფუნქციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მისაღებად მსმენელებს წაიყვანენსაწარმოში, სადაც ადგილზე მონაწილეობას მიიღებენ საწარმოო დეგუსტაციაში. მეორე, დეგუსტაციის პროგრამაში, პრაქტიკული კომპონენტი გულისხმობს, ერთი, საწარმოო დეგუსტაციაში მონაწილეობას ადგილზე, დეგუსტაციის ჩატარებას და მეორე, ღვინის პრეზენტირებას და სერვისის ობიექტებისთვის საჭირო დეგუსტაციის უნარებს. შესაბამისად, ცენტრს აქვს მაღაზია, სადაც მსმენელები ეჩვევიან პრაქტიკულ უნარებს. მან კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ყველა ეს განმახორციელებელი ლოკაცია არის ერთი, ქართული ღვინის გილდია.და იყენებენ ყველა რესურსს, რათა წარმატებით განხორციელდეს პროგრამა.

შემდეგ **დარგის ექსპერტმა** ისაუბრა პროგრამის მთავარ აქცენტებზე, დაშვების წინაპირობებზე. დაშვების წინაპირობა ორივე პროგრამას აქვს განსაზღვრული. ეს არის როგორც საბაზო, ასევე საშუალო საფეხური, თუმცა არის ერთი წინაპირობა - დეგუსტაციის პროგრამაში, მინიმუმ 22 წლის უნდა იყოს მსმენელი და ამავე დროს მას უნდა ქონდეს მიღებული სამი კრედიტი და ეს უნდა საბუთდებოდეს. კანდიდატს, რომელსაც პროფესიული/უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვს **ქიმიისა და ბიოლოგიის (მიკრო ბიოლოგიის, ბიო ქიმიის) დარგის შემსწავლელი სასწავლო კურსები** არანაკლებ 3- 3 კრედიტის ოდენობით, რაც დასტურდება დიპლომის დანართით,შესაბამისი სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობით. რაც შეეხება ქართული ტექნოლოგიით ღვინის დაყენებას, ამ პროგრამაში წინაპირობაა ასევე საბაზო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომელთაც 1 წელი უნდა უფიქსირდებოდეთ მსგავს სფეროში მუშაობის გამოცდილება, თუნდაც მოხალისეობის. ამას ადასტურებს დოკუმენტი,,პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ“, სადაც აღწერილია ის პროცედურები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, მსმენელთა შერჩევა. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიების პროგრამის არის მეხუთე და მეოთხე დონეა ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის პროგრამის. ასევე საინტერესოა პროგრამის შედეგები. ორივე პროგრამას აქვს 14 გაწერილი შედეგი, რომელიც მსმენელს აძლევს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს. ერთი პროგრამის ხანგრძლივობაა 19 კვირა, 136 საათი და მეორე პროგრამის 12 კვირა, 70 საათი. ორივე პროგრამაში გამოყენებული სწავლების შემდეგი მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა. გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც

დოკუმენტურად დასტურდება, ასევე მონიტორინგის სიტემაც, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას, შესაბამისად მათ ჰყავთ სამი პარტნიორი, სადაც მოხდება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.რაც შეეხება რესურსებს, პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსებით, რაც დასტურდება, გაფორმებული ხელშეკრულებებით და კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. შედეგების მისაღწევად მატერიალური რესურსი საკმარისი და კარგად განაწილებულია, შესანიშნავი გარემო და აღჭურვილობა აქვთ, აგრეთვე ბიბლიოთეკა, ონ ლაინ საშუალებები, უსაფრთხო გარემო, წარმოდგენილია დასკვნა, რომ უსაფრთხოების ნორმები, სახანძრო, შენობის, შრომის, დაცულია. **მარიკა ზაქარეიშვილმა** აღნიშნა, რომ სასიამოვნო იყო მოსმენა პროგრამების შესახებ და დაინტერესდა კომპანიის წარმომადგენელმა საიდან შეიტყო ამ მოკლევადიანი პროგრამების შესახებ, და თუ ეხმარებოდათ ვინმე, ვინაიდან მათ წარმოადგინეს სრულიად გამართული პროგრამები. როგორც **მარიამ ხომასურიძემ** აღნიშნა, მას არ გაჭირვებია ამ პროგრამაზე მუშაობა, რადგან ის არის აკრედიტაციის ექსპერტი, პროფესორი, მას აქვს მსგავს პროგრამებზე მუშაობის გამოცდილებაც.

გიორგი გამყრელიძეს ჰქონდა ღვინის დეგუსტაციასთან კითხვა. მისი აზრით ეს პროგრამა, რომელიც წარმოადგინეს არის დეგუსტაცია, რაც გემოვანი პროცესია და არა სომელიეს პროგრამა. ღვინის დეგუსტაცია ძალიან სერიოზული პროგრამაა. ასეთი ხანმოკლე პროგრამით როგორ მოხერხდება, რამდენად არის შესაძლებელი და მათ მიერ გადამზადებული პირი, რამდენად შეძლებდა იყოს ღვინის დეგუსტატორი, რადგან საწარმოო პროცესში უნდა იმუშაოს. **მარიამ ხომასურიძემ** უპასუხა, რომ თვითონ არის სახელმწიფო დეგუსტატორი, მასაც გავლილი აქვს მსგავსი ტრეინინგი. ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ აქტივობას, სატრენინგო მასალას, საკმაოდ კვალიფიცირებულ პერსონალს, რომელმაცთავის დროზე გაიარა მსგავსი კურსი და ჩააბარა გამოცდა. ამის გარდა ეს ტრეინინგი ჩატარებული აქვს მილანში, აქვთ სამომავლო გეგმაც, ერთ-ერთ ფრანგულ კომპანიასთან აპირებენ ერთობლივი პროგრამის შემუშავებას. დეგუსტატორი ჭირდება სახელმწიფოს, მეღვინეს უნდა ჰქონდეს ეს უნარები. ძირითადად, მეღვინეებზეა გათვლილი ეს პროგრამა და რომ ასეთი კურსები განხორციელებული აქვთ წარმატებით. **საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა** ორგანიზაციის წარმომადგენელს მიმართა ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა ორგანიზაციის პრაქტიკიდან გამომდინარე რამდენად უფიქრიათ, მისცემდა თუ არა საშუალებას სსსმ პირებს ესწავლათ ამ პროგრამებზე. ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ ამ ეტაპზე არ ჰქონდათ ამის შესაძლებლობა, მაგრამ მომავალში, ისინი აპირებენ რეგიონებში გასვლას, ჯერ უნდათ დაიწყონ თბილისით და შემდეგ გავიდნენ ზეგაანში. მეღვინეობის სფერო ყველაზე დასაქმებადი სფეროა და ადამიანებისათვის კარგი საშუალებაა. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ შესაძლებობების ფარგლებში აპირებენ შშმ და სსსმ პირების მომსახურებასაც. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული პირობები არის სამინისტროს მხრიდან შშმ და სსსმ პირების მიმართ, სამინისტრო აფინანსებს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის ხელშეწყობას, ეს შეიძლება იყოს ჟესტური ენის თარჯიმანი, გთავაზობთ, რომ დაფინანსებაში გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა დარღვევის პირებისთვისაც, ეს მათთვის საკმაოდ კარგი ხელშეწყობა იქნება. ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდა ამას.

საბჭოს წევრმა, ნათია კვიციანმა დასვა ასეთი შეკითხვა- ვინაიდან ტრეინინგი გურჯაანში ტარდება 5 დღე და მსმენელთა ტრანსპორტირების ან სასტუმროს საკითხი როგორ იქნება მოწესრიგებული. **მარიამ ხომასურიძემ** უპასუხა, რომ ზეგაანის ტერიტორიაზე არის სასტუმრო, ასევე გამოყოფილიიქნება ტრანსპორტი. ვისაც სურვილი ექნება, მასთან გაფორმებული იქნება ხელშეკრულება და შეიძლება დარჩეს, ეს იქნება მონაწილეთ ა არჩევანზე. საცხოვრებლის და კვების გარკვეული ფორმაც შედის სწავლის საფასურში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგკენჭისყრაზე დააყენა შპს ქართული ღვინის გილდიისათვის პროფესიული გადამზადების პროგრამა - ღვინისა და ყურძნისეული

წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია /00424/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს ქართული ღვინის გილდიას(ს/კ: 405297423) მიენიჭოს უფლება განახორციელოს ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაციის პროფესიული გადამზადების პროგრამა, **დანართი 2 - ით განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით**.

საბჭომ კენჭი უყარა მეორე პროგრამასაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა შპსქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები /00425/- განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამისგანხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს ქართული ღვინის გილდიას(ს/კ: 405297423) მიენიჭოს უფლება განახორციელოს ღვინის წარმოების ქართული ტექნოლოგიების პროფესიული გადამზადების პროგრამა, **დანართი 3 -ით განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ 18:45საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1.

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნულიკვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00421	მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა	მომზადება	მეორე	13	ქართული	4	ახალციხე, რუსთაველის N65
						4	ამბროლაური, კოსტავას ქ. N39
						4	სენაკი, სამხედრო დასახლება
						10	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჯვარი ჭიჭინაძის ქ. N5ა
						6	ჩოხატაური, წერეთლის ქ. N1
						4	ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N19ა
						6	ახალქალაქი, ტერიანის ქ. N25
						7	ლაგოდეხი, სოფელი ლელიანი
						3	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ს. კოდა იგპ დასახლება

დანართი 2.

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
00424	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია	გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	21	თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 15

დანართი 3.

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციებისჩარჩოსდონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
00425	ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები	გადამზადება	მეხუთე	19	ქართული	21	თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 15